

ლიტერატურული გაზეთი



1934 ოქტომბრის 30

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო

იხსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, პაოლო იაშვილის, ალია მაშაშვილის, ნიკოლოზ მიწისძვრის, ბესო ულენტი, პლატონ ქიქოძის, სიმონ ჩიქვანის და პანტელეიმონ ჩხიკვაძის რედაქტორობით

ოქტომბრის 30

რომანტიული დიდება

შალვა აფხაძე

არც ნაღველია და არც დუმილი, თუ ხარ მოყვარე და სიტყვა გერჩის. თუ დაგჩრიალებს სხივები დილის და მოქალაქის გული სცემს მკერდში.


გსურს დაინახო გმირი შობილი? — მისი სარკვე ყოველი წამი: თუ გსურს სიმღერა ხმა-შეწყობილი, — სალამურია ყველა ლერწამი.

რა სიამოვნება გაქვარ მხარული, ყოველი ტალღა მოვა აღერსით. თუ ამ ეპოქის გაქვს სისხარული, დაიგუგუნებ მართალი ლექსით.

სხვა წამოიჭრა პირამიდები, ვინდა მიჰყვება მთვარის აჩრდილებს! რომანტიული არის დიდება, გმირული სულის დიდი საჩრდილი.

თუ სიყვარულსაც გაურევ ხმაში, მაშინ ვარსკვლავიც წააგავს იას, და ყოველ ნივთსა და ჩვენს ამბავში შენ გაიგონებ მზის ჰარმონიას.

თუ შთაგონება იწყის და არის, თუ რაინდულად იცნება ფრინავს, ცრემლშიაც ნახავ ეპოქის ხალისს, ღამეც ვარდით ყვავის და ფშვინავს.



სკოლისაკენ

მხატვარი — ს. ნადარეიშვილი

საბჭოთა სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისაგან ბევრად და მოკიდებული როგორც საბჭოთა ლიტერატურის მომავალი, აგრეთვე უკლასო საზოგადოების შეგნებულ მშენებელთა თაობის აღზრდა და მომზადება.

საკითხი აქ მართლ სწავლებით არ განისაზღვრება. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მოსწავლეთა შორის მასიური ლიტერატურული მუშაობის ფორმებიც: სკოლებში ლიტერატურული წრეების ქსელის გაშლა, მოსწავლეთა ლიტერატურული თვითმოქმედების გაძლიერება, ლიტსაღამოების და დისკუსიების რეგულარული მოწყობა, მწერლობის ცოცხალი კავშირი სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხ. მაგრამ ყოველივე ამას დამხმარე ღონისძიებათა მნიშვნელობა აქვს.

უმთავრესი და ძირითადი არის სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე და ხარისხი. სკოლამ უნდა მისცეს ახალგაზრდა თაობას აზროვნებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი პირველხარისხიანი იარაღი, როგორცაა სწორი და მაღალი ენობრივი კულტურა. სკოლამ უნდა დანერგოს მოსწავლეთა ცნობიერებაში მხატვრული მწერლობისადმი ინტერესი და სიყვარული ისეთი სიღრმით, რომ იგი შეერჩეს ახალგაზრდას მომავალში, მისი სამოღვაწეო სპეციალობის მიუხედავად.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში დღემდე ადგილი აქვს მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა ძირითადი მასა მოწყვეტილია ცოცხალ, მოქმედ ლიტერატურას, მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას და იმ ბძოლას, რომელიც ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებაში მიმდინარეობს. მასწავლებელთა დიდი ნაწილი პასიურად ეურდნობა სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს და იქ ეძებს მოსწავლეთათვის გადასაცემ პასუხს ყოველ კონკრეტულ სალიტერატურო საკითხზე.

ამავე დროს სწორედ ლიტერატურის სწავლება ყველაზე მეტად მოითხოვს მასწავლებლის საზოგადოებრივი ინიციატივას, მისი პირადი გაგებითა და ცოდნით ხორც-შესხმას იმ სქემებისათვის, რომლებიც მოცემულია პროგრამებში და სახელმძღვანელოებში.

მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურათმცოდნეობას გამოუმუშავებული აქვს გარკვეული პასუხი ლიტერატურის ძირითად პრინციპულ საკითხებზე. მაგრამ მხატვრულ მწერლობის კონკრეტულ

სპეციფიკური პრობლემები, ამა თუ იმ მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის გაგება და შეფასება — წარმოადგენს ცხოველ დისკუსიის, აზრთა წინააღმდეგობის საგანს. ამიტომ ამ საკითხზე სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში მასწავლებელი ყოველთვის ვერ იპოვის სტანდარტულად ამოწმურავსა და საბოლოოდ დადგენილ პასუხს.

ასეთ შემთხვევაში სწავლების სისწორე და კვალიფიკაცია სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ახლოს დგას მასწავლებელი მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებასთან, რამდენად ინტენსიურად იცნობს იგი ლიტერატურულ აზროვნებაში წარმოებულ ბრძოლას და რამდენად მონაწილეობს ამ ბრძოლაში.

ლიტერატურის მასწავლებლის საქმიანობა — უადრესად შემოქმედებითი მუშაობაა. ლიტერატურის სასწავლო პროგრამები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას განსაკუთრებით დაბალია ლიტერატურის სახელმძღვანელოების ხარისხი. აქ საქმე განისაზღვრება მწერლობის სოციალური ანალიზით, — არაფერია თქმული მწერლის მხატვრულ ინდივიდუალობის შესახებ, ე. ი. იმ სპეციფიკურ საშუალებათა შემადგენელ ნიშანთა შესახებ, რომლითაც მოქმედებს მწერლებმა და რომლითაც იგი განიჩქევა იდეოლოგიის სხვა მოსაზრებებზე და რეაგირებსაგან. აქედან სრული გაუპიროვნება მწერლობის, შტამპები და „იარაღები“, სრული სქემატიზმი ლიტერატურულ კლასიფიკაციის საკითხში. ლიტერატურის სწავლებაში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში მკაფიო გამოხატულებას პოულობენ ის დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქართული მწერლობის კლასიკობა შეფასების საკითხში: ერთის მხრივ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული მწერლობის კლასიკოსთა — რევოლუციონერებად და სოციალისტებად გამოცხადების ფალსიფიკატორული ცდები; მეორე მხრივ კლასიკოსებისადმი ნილილისტური დამოკიდებულების ფულგარაზატორული პრაქტიკა, სახელმძღვანელოების შედგენის საქმე ხშირად არაკომპეტენტურ პირთა ხელშია.

ჩვენ ვამახვილებთ სკოლაში ლიტერატურის სწავლების პირველხარისხიანი ამოცანის გარშემო ჩვენი პედაგოგიური კადრების, ჩვენი მწერლებისა და კრიტიკოსების, მოსწავლე ახალგაზრდობის და სათანადო ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღებას. საქირთა დაუყოვნებლივ მივადწიოთ არსებით გარდატეხას.

ბესო ულენტი

ლიტერატურის მასწავლებლები ჩვენი გაზეთის რედაქციაში

ბლომად მოიყარა თავი მასწავლებლობამ. ქართული ენისა და ლიტერატურის სკოლებში სწავლების საკითხი ყოველ მათგანს ყოველთვის აწუხებდა. ბევრჯერ გამოუთქვამთ აზრი ამ საკითხის გარშემო მეთოდკაბინეტის სხდომებზე. ახლა კი მასწავლებლობას სურდა ლიტერატურის სწავლების საქმეზე მწერალთა აქტივთან ერთად ეთათბირა.

სამწუხაროდ, მწერლების მცირე ნაწილი დაესწრო თათბირს. „ლიტერატურულ გაზეთის“ და მწერალთა კავშირის საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები და კრიტიკოსები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თათბირის მსვლელობაში. თათბირს დაესწრენ მეთო-

დისტები და ელხის წარმომადგენლებიც.

მხატვრულ ლიტერატურის შესწავლა ხელს უწყობს აზროვნების გაწვლას და გაფართოებას. მისი შესწავლის საფუძველზე არ იზრდება შემოკარგულ, ვიწრო ფსიქოლოგიის ადამიანი. სწორედ ამიტომ იყო რომ თათბირზე კამათში გამოსული ამხანაგები რავეგამოდებით ამულავნებდნენ ლიტერატურის სწავლების პრაქტიკაში არსებულ დამახინჯებებსა და ხარვეზებს და შემოქმედით წინადადებები მათ გამოსასწორებლად.


— ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის არსებულ პროგრამას გარკვეული მაგისტრალური ხაზი აქვს.

ხუროძე აღნიშნავს ახალ სასწავლო წლიდან ქართული ლიტერატურის სწავლებისათვის პირობების გაუმჯობესებას საათების გადიდების და პროგრამის შეკუმშვის მხრივ. ამავე დროს საყვედურობს სახელმძღვანელო წიგნების დაბალ ხარისხზე. იგი მოითხოვს, რომ სახელმძღვანელოების განხილვაში მონაწილეობას ლეგულობდნენ უშუალოდ პრაქტიკოსებიც.

სიხარულიც: — სკოლას სჭირდება მწერალთა დახმარება. მწერალი იძლევა მხატვრულ პრობლემებს საყვედურობს შალვა დადიანი. — პროგრამა მისი აზრით სწორად არის შედგენილი. ფორმულა ამა თუ იმ მწერლის შესახებ სწორია და მართებული, მაგრამ საქირთა მისი დაზუსტება.

სკოლას სჭირდება კრიტიკული მიმოხილვები, მონოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის მასალები. კრიტიკოსები ძირითადად ამუშავებენ მხატვრულ ლიტერატურის საკითხებს, მასწავლებლობა კი უნდა ცდილობდეს ამ საკითხების დეტალიზაციას. ერთ სახელმძღვანელოში სწერია „მაშაშვილის თემა ქალაქი და სოფელი“. მასწავლებელი მოაზროვნეა, მან ასეთი აბსურდი არ უნდა ასწავლოს (ბ. ელენტი).

კამათში გამოსული დანარჩენი ამხანაგები: ასათიანი, ბახტაძე, ჩიხლაძე, ჯოხაძე, კეკელიძე და სხვ. ხაზს უსვამდნენ პროგრამის შესწორებისა და დაზუსტების აუცილებლობას და მოითხოვდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებსა და მწერალთა შორის ცოცხალ კავშირის დამყარებას.



მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურის მასწავლებლები ლიტერატურის რედაქციის თათბირზე



ციდან სხივი დაქანდა... მწიხარულად დაეცა...

ღამე დიდხანს იბრძოდა, ღამემ დიდხანს იავა...

მაგრამ, დილის სხივებო, ჩრდილში ჩამხვრეულუბო...

ცაში სხივი გამოჩნდა, ხანჯალივით ორპირი...

უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა სიმონ ხუნდაძე...

ჩვენი მწერლობის და მეცნიერების ასპარეზს უდროოდ გამოაკლდა სამაგალითო მკვლევარი...

თავაუღებელ საკვლეო-სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სიმონი აწარმოებდა დიდსა და ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას...

თავაუღებელ საკვლეო-სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სიმონი აწარმოებდა დიდსა და ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას...

ნოველები

ვახტანგ კობახიშვილი

პოეტის სამყაროში ჯერ ბევრი საკითხი გაურკვეველი და დაუდგენელი...

საგულისხმოა, რომ ძველადაც სალიტერატურო კვების საფუძვლიანი მობრუნება ხშირად ერთი თაობის მანძილზე ხდებოდა...

სახე საგანგებოდ განვითარდა და დღევანდელი მსჯელობის საგანიც ეს არის: ნოველის ისტორიული გზები და მისი დღევანდელი ვითარება...

თავისი გზით მიემართება. ჩვენი დღევანდელი მსჯელობის საგანიც ეს არის: ნოველის ისტორიული გზები და მისი დღევანდელი ვითარება...

ბუნ. ასეთი შემთხვევები ლიტერატურის სამყაროში საკმაოდ ხშირია. რამდენი დასურსა სონეტი, ოქტავა, ტრიოლეტი...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

I.

რამდენიმე გარდავით, რამდენიმე დამის ბოჭკა და კიდევ რამდენიმე ალგერა აუცილებლად ლორთქიფანიძის დაბრუნებას, —ეს იყო საქართველოს დაბრუნების რევოლუციური მოძრაობის მიზანმიმართული გარდავითი იტერდა ლორთქიფანიძის, ჯიბიგირების გარდავითის უყვარდა ქრთამი, ჯიბიგირების ჰქონდათ ფული. ამიტომ საპოლიციო უბანში მხოლოდ ლორთქიფანიძის მიყვარდა. სალამობით ქალაქის ბაღში ყაბბებისა და მიკიტინების ჯიშის ცილები ლორთქიფანიძის თამაშობდნენ. მათ ჰქონდათ მსუქანი, ჭორფლიანი გულმკერდი და წურბელსავით დასიებული, მუდამ ოფლიანი თითები. —ჰქონდათ ორდგილიანი საწოლი და ერთადგილიანი პატარა ბენდირები, რომლებსაც რამდენიმე თაობის ოფლის სუნი ასდიოდა და რომელზედაც სამი რევოლუციო გამომიჩნეს მათმა პატარონებმა. აქ ყველაფერი ძველი და გაცვეთილი იყო, გარდა უკანასკნელი კორისა.

უჯდა ლადარში გამომცხვარ მკანდა და ლობიოს და ტკბილად პუტუნებდნენ რა უნდა გამოსულიყო მათი ბიჭუკეა, როცა იგი ნასწავლი კაცი გახდებოდა, მამას უნდოდა „აქციზი“, დედას „დობტური“. ამ ნიდაგზე ხშირად უსიამოვნებდაც მისდობდა. ისინი ერთმანეთს, არჩევანს უწყებდნენ და ისე გაცხარებული დავობდნენ, თითქო მათი შვილის ბედობალი მხოლოდ ამ საკითხის გადაჭრაზე იყო დამოკიდებული. ეს დაუსრულებელი კამათი ახდენდებოდა მშობლებს და ნეტარებით ელოდნენ იმ დღეს, როცა მათი ვაჟი საქალაქო სასწავლებლის კაპიტანი ქუდს დაიხურავდა. გადიოდა წლები, იზრდებოდა შვილი, მაგრამ არ იზრდებოდა საყანე, არ მათულობდა სიმინდი ბელაში. ამიტომ, როცა ბიჭუკეას ასაკი შეუსრულდა, იგი სკოლის მაგივრად ქუთაისის რესტორანში მოხვდა. მამას უნდოდა აქციზი, დედას — დობტური, შვილი კი ლაქია გამოვიდა. ხონი სასვე იყო ასეთი ბიოგრაფიებით. ეს იყო ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი ცხოვრების გზა ლარბისათვის.

ახლა ამ ქალაქში იზრდებიან ჩვენი ქვეყნის დამკვირვებელი, ტექნიკოსები, ტრაქტორისტები, მქსოველები და ისინი სამუშაოს საძებნად არ მიდიან სხვაგან, ვინაიდან პატარა ხონში დღეს უკვე იმდენი საწარმოა, რამდენიც რევოლუციამდე მთელი ქუთაისის გუბერნიაში არ იყო.

მაგრამ, არც ერთ ქალაქში რევოლუციის ინდენი ცვლილება არ მოუხდენია, როგორც ფოთში, იმ ქალაქში, რომელიც არც ისე დიდხინის წინადა კოლოს სატატო ქალაქად ითვლებოდა.

2.

მაღალი, ყვარვიანი ხმელი და მხარბეჭში ოდნავ მოსხრეკილი მამაკაცი შარვალი იკოტავდა. მისი თეთრი და მუხლებიდან კოჭებამდე თანაბრად ჩასწორებული წვეგები გატყავებული ეკლისის ჯოხებს ჰგავს. უკანაგონი კიბამ უმოწყალოდ ამოაშრო ოდესღაც შეფოთიანი სისხლი და უკვე დაიფუჭდა, დაცარიელდა მისი ძარღვები. და როგორც ფიტულს, ისე არ ეკიდება ეს თავის მზე ამ კაცის წვეგებს: არ აშავებს, არა სწვავს.

ჯოხით ნიდაგვი მოსინჯა, თვალის მიაკოლა და ჩავიდა... სად უნდა ჩასულიყო, როცა გარშემო, სანამდე თვალი მიწვდებოდა, ჯგჯილის ყანასავით გადამწვანებული მიწისფერი ლეკავდა. მაგრამ ასე მოჩანს შორიდან ეს წყვეტილი ჰაობი, ტილი და ლაქაშები თანმორთული და ასე უწყებელი ერთი შეხედვით.

იგი ჩავიდა. პირველად წყალი კოჭებამდე ურტყამდა, მაგრამ სარივით დარტყობილი მამაკაცი თანდათან იწვდოდა ქვევით. და როცა მუხლამდე ჩაიფლო, ჯოხის მომარჯვებით ჩაძირვა შეაჩერა და გახედა.

ერთხანს ასე უძრავად დაშტერებოდა ლაქაშებს, რომელთა შორის იხედებოდა საძაგლად თბილი, მყარ და მისი თვალისთვის დახამებული ჰაობის წყალი: — და ამ ლაქაშებს, ამ მოწყვეტილ ბუჩქებს, ყველაფერს, რაც მიწიდან იყო ახორებული, თავზე ადგა ისეთი სქელი და შმორიანი ოზშივარი, თითქო უშველებელ უთოთი მიწაზე გაფენილ ძონებს აშრობენო. მაგრამ რა გააშრობდა იმ ქვეყანას, სადაც წელიწადში ორასორმოცდაათი დღე წვიმიანია და მდინარეების დონე ნიდაგზე მაღალია.

შუადღე მოძალდა. ალბით შეკრული ჰაერი ისე გახურდა, რომ აქამდე ოდნავ გასაგანი ზუზუნი კოლოებისა ახლა ლითონით უღრიალებს.

ჰაობში ჩამდგარი მამაკაცი ხანდახან შემოიღობით გადააბრუნებს თვალის ბაიას: ეს მაშინ, როცა სადღაც ლაქაშებიდან წამოდგება ცხელი და მშრალი ნიკეპარი, რომელიც წამლავს და აბრუნებს ყოველგვარ სულდამულს.

აგერ მამაკაცი შეინძრა, ფრთხილი მოძრაობით ჯერ ერთი ფეხი ამოიხადა ჰაობიდან, მერე მეორე და ნაპირზე დამოვიდა. ახლა მისი წვეგები კარგად განაწილებულ მორგებს ჩამოგავს. ისინი უფრო გამსხვილებულა და შავად ელვარებენ მზეზე.

ჩამოვდა. გვერდით შუშის ქილა მოიღვა და გაწაფული ხელით სწრაფად მოიხინა მსუქანი წურბები. იგი კმაყოფილი იყო, რომ ერთ ჩასვლაზე ამდენი წურბელა მოეკიდა მის დამკვირვებ წვეგებს.

ამ წურბლის მონადირეს თავის დღეში არ ჰქონია უკანა ეზო. მისი უკანა ეზო იყო გაუქვალ კაობი, რომელიც არგონავტების დროინდელი ბაყაყების მაცარიანთ მოსდგომოდა მის წაფერდელ ოდსს და ხაშიანი სუნთქვით ნერწყვად ყველაფერს. — ლოგინი დანამუხს გავდა, შეშას ცეცხლი არ ეკიდებოდა და ადამიანიც ღრუბელივით იქედნებოდა ნესტით. დაჯდებოდა კაცი სადილად და, ცალხელში შეფთოილი ტოტი გვირა, რომ თავი დაეცვა შეუპოვარ კოლოსგან, რომელიც ფოთოლზე ხშირი იყო მის კარმიდამოში. ნასადილევს იგი წაიკეთოდა ლოგინზე, ცოლი აყრიდა თავზე საბნებს, ბალიშებს, რალაც ძველმანებს — კაცი მაინც ვერ თბებოდა ამ გაგანია სიციხეში და მისი აბორგენული სხეული ატრიალებდა, არღვევდა ბამბუკის საწოლს და თვითონაც ირღვეოდა... დასახურავს ითხოვდა.

სალამობანს წამოდგებოდა დაბევილი, გაბრუნებული, გასავათებული, თითქო ცოფიან კამეჩთან ებრძოდნენ. ნაწამებ ყვითელ-მწვანე პირისახეს მხოლოდ ციებით გაპარალებული თვალები უცოცხლებდა. იგი ახლა ოცი წლით ხნიერი იყო, ვიდრე დილით.

არსად იმოდენა შეაგეს და ცხარეს არ ხმარობდნენ საჭმელში, როგორც აქ, ულამაზეს მედვას სამშობლოში, რათა გამოფხობილებულიყვენ ამ უწყურის ბურანისაგან, ზეზეულად რომ აღნობდა კოლხიდელებს.

და სწყველიდნენ თავის გაჩენის დღეს ეს მწვანე ჩონჩხები, რომლებმაც არ იცოდნენ რა დააშრობდა ამ ქვეყანას, სადაც წელიწადში ორასორმოცდაათი დღე წვიმიანია და მდინარეების დონე ნიდაგზე მაღალია.

ეს იყო ფოთში, იმ ქალაქში, რომელსაც ყველაზე მარტივი და ადვილად დასამახოვრებელი სახლერები ჰქონდა. ერთის მხრიდან ზღვა, სამი მხრიდან ჰაობი და საწურბელი, ჯამანა, ნაბადა. — ისინი სისინებდნენ მაღალი ლაქაშებით და ორთა რიონი ადიდებოდა, ფუხუხუხით შემოდიოდნენ ქუჩებზე, მდგრიე ტალღები ატრიალებდნენ ოდებს, ატაობებდნენ ბაღებს და მოედებდნენ. მაშინ ბაიბებით დადიოდნენ ფოთში, იმ ქალაქში, სადაც ყური სკებებოდა ბაყაყების ყიყინით. მათი ყიყინი ფარავდა ზღვის ხმაურს, აყრუებდა ქალაქს და გადამწვანების შემამრწუნებელი სიმღერით ავსებდა სივრცულს.

უკეთური ქალაქი იყო ფოთი. არც ერთ გეოგრაფიულ წიგნში არ ყოფილა აღნიშნული, რომ ფოთი კუნძული იყო, მიუხედავად იმისა, რომ წყალი ერთგვარ შემო.

3.


ფოთში „სობორას“ პირდაპირ ძველი ციხის კოშკია, შუჭურასავით მაღალი, ორი ათეული წლის წინად ამ კოშკის თავზე ბოლოს სცემდა მაღალი, კარგად შენახული მოხუცი. იგი გაუხურებდა თავის საყვარელ ქალაქს, რომელსაც თავის ეგვლებოდა მისი მოუხუცნარი ხელი და ათასნაირი საქმიანი გვეგებით აფორიაქებული გონება, გაყურებდა საწურბლის ჰაობს, რომელსაც გაოფილ ცხენით ასდიოდა ცხელი ოზშივარი. იგი ებრძოდა ამ ჰაობებს და ოცნებობდა იმდღეზე, როცა ფოთში კოლო მოისპობოდა. მაგრამ მისთვის „სობორას“ აშენებდა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ერთი სავსე ჰაობის დაშრობა. ჰაობებით ბნელი და მყარი მეფის რეჟიმი მხოლოდ ორ შემთხვევაში იჩენდა ხელშეშობილებას: როცა ავებდნენ ისეთ „შენობას, სადაც ხალხი ღმერთისა და მეფის ერთგულებას ისწავლიდა.

ეს იყო ეკლესია. და სადაც აწამებდნენ რჩეულ ვაჟაყებს, რომლებიც იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

ეს იყო ციხე. საქართველოს ქალაქებში მხოლოდ ამ ორი შენობის აგება იყენებდნენ.

და ის მოხუცი, ახალგაზრდობისას ჩერნიშევსკის მეგობარი ნიკო ნიკოლაძე თავის უზარმაზარ ენერგიას ცხვარასავით სწირავდა ღვთის ტაძარს. იგი ისე ჩავიდა სამარეში, რომ სიკვდილის წინაც ენობდა კოლოს გულის მომწყველი ზუზუნით.

და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც გურია-სამეგრელოს გლეხი ქვეყნის პატარონად აქცია, დაიწყო ბრძოლა იმ ქვეყნის დასაშრობად, სადაც წელიწადში ორასორმოცდაათი დღე წვიმიანია და მდინარეების დონე ნიდაგზე მაღალია.



ნახატი — თ. აბაკელიასი

4.

საბჭოთა კავშირში ციტრუსების ერთადერთი საბჭოთა მფურნეობა „გრიე-ფრუტი“ — და ეს შესანიშნავი მფურნეობა გაშენებულია სწორედ იმ შეჩვენებულ გარეუბანში, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ყარა, როგორც უზარმაზარი ცხოველის ლეში. დიაცალა არხებით ყვლამოლადრული საწურბლია და გახმა თბემა, რომელიც მისი შავი სისხლით იკვებებოდა.

ახლა ეს წურბლების სამეფო გარეუბანი სასწაულებს ახდენს, მისი მსუყე და ღონიერი ნიდაგვი ისეთ ჭირვეულ ციტრუსებსაც კი იმინაურებს, როგორც ამერიკული გრიეფრუტია, პირველად შარშან მისში რომ ეწვია საწურბლისა და წლის ბოლოში უკვე რამდენიმე შესანიშნავი ნაყოფი მოიხსა, რომელიც გემოთი ღონისა და ფორთოხლის ნარევის ჰგავდა.

დიაცალა ჰაობი და გამოჩნდა ბეჭებში მოსხრეკილი, ძარღვებდაფუჭებული მწვრუბლები, რომელიც პირველად თავის სივრცულში მოდიოდა აქეთ არა წურბლების დასაჭერად და არც გარეულ იხეებზე სანადიროდ... იგი მოდიოდა ნაჯახით, წერაქვით, ხერხით. იგი ესახლებოდა. იგი მკვიდრდებოდა ისეთ მიწაზე, რომელზედაც ათეული წლების განმავლობაში სეველიანობდა მთელი მისი არსება. ეს მიწა აგებდა ციტრუსების ნარგავებს, სამი-ათხუთ ათასი მშურვალე ნაყოფით აბრიალებდა თვითეულ ხეს.

რატომ არ მუშაობენ ლიტერატურული წრეები

ლიტერატურის მუშაობას რომ სეპაროზული ურალაბა არ ექცეოდა ეს გამოიკვამ წერალთა კავშირში ამ რამდენიმე დღის წინად მოწვეულ ლიტერატურის ხელმძღვანელთა თათბირზე

ლიტერატურული მუშაობის საკითხებს ერთერთი ძირითადი აღგითი უნდა ეკითროს კლუბებისა და წითელი კუთხეების საქმიანობაში. უნდა იყოს შეგნება, რომ ეს წრე კულტურის საკითხებში აუცილებლად საქაროს.

წრეების მუშაობას სხვათაშორის ხელს უშლის ის გარემოება, რომ მათთვის სამუშაო საათები ვერ იქნა შეჩერული.

ლიტერატურის არ არის მიჩნეული სამუშაო ბუნია. ადვოკატების ხარჯთაღრიცხვებში არ არის გათვალისწინებული თანხები ლიტერატურის მუშაობისათვის, რის გამო ხელმძღვანელები არ იღებენ ხელფასს ოთხი, ხუთი, ხშირად ექვსი თვის განმავლობაშიც კი.

წრის ხელმძღვანელს გარდა ლექციების წაკითხვისა უნდა წრის წევრთა შორის სხვა მასიურ მუშაობის სისუსტისა ლიტერატურის საერთო ჩამორჩენილობაში უნდა ვეძიოთ. ამავ მიზეზით აიხსნება, რომ მკითხველი იძენდა არ ეტანება წიგნს, როგორც ეს საქართველოშია. ამ ნაკლის გამოწვევაა კი არა მარტო ორგანიზაციული ლონისძიებების საქმეა, არამედ შემოქმედებითი საკითხი. საქართველოში მწერლობამ მიაქციოს ამას მეტი ყურადღება.

ხშირია შემთხვევა, როცა ხელმძღვანელი არ ცხადდება მორიგ მეცადინეობაზე, სტავეებს მთელრიგ დღეებს. ლექტორი თუ ზარ-

გიორგი შურიშვილი
ქალაქის მწერალი
 აქ ჯერ ისევ მზე კოფობს, ზაფხულია იქ ჯერ ისევ, და აჭარის მთებს თუ ტაფობს რომ ვუმღერო, მეც ველირსე!
 რა სჯობია აქ ამ სამყოფს, რა სჯობია სიხალისეს? სიმწიფეა. ჰკრეფენ ნაყოფს და კალათას ყველა იხეებს!
 ცაზე მზეა, მთაზე ნისლი, კალთებზე კი ფორთოხალი. როგორც რძე და როგორც სისხლი ღვივის ბაღში ვიღაც ქალი!
 შევედე ტრფობით შებორკილი მანკ შემინა, დაიკვირნა; შეუბნევი ჰქონდა ღილი, მკერდში მთვარე ჩაეწვინა!
 აჭარისტანი
 ოქტომბერი 1934

და ის მეწურბლე ახლა ხარბად ისუნთქავს ციტრუსების ფიცი სუნით შეკაბულ სალამის. არ ვმინია გამოვალს სახლის უკანა კარი, რადგანაც იცის, რომ იქედან ჰაობის მწვანე თვალის მაგივრად შემოიხედავს მშურვალე ღმინი და მანდარინა.

დასახლდა საწურბლია. იშვიათია მოსახლე, რომელსაც ეზოში ციტრუსების პატარა ბაღი არა ჰქონდეს, ღმინი, ფორთოხალი და მანდარინა აქ ისე ხშირია, როგორც ქუთაისში ქვიშა და ტყე-მალი.

ფოთის მეორე სიამაყე — საცდელი სადგური, ციტრუსებისა და ტექნიკური კულტურების უზარმაზარი ლაბორატორია. კალმაქით დამშრალ ფორთოხზე ათასნაირი ფერისა და სუნის ქარიშხალი ტრიალებს: ყველა ჯიშის ციტრუსები რამი, ქაფურის დაფნა, სამის ხე, ფანქარის ხე, ქონის ხე და, წარმოიდგინეთ, კამფეტის ხეც კი გამოუზრდია ამ მაღლიან მიწას.

სადგურის გარშემო, დამბის გასწვრივ დარაჯებებით აღმართულან ქარსაფარი ეკვალბები, იაბონური კრიბტომერია და უფრო იქით ჰიმალიას უნახესი ფიჭვები, რომლებსაც ისეთი შეხედულება აქვს, თითქო ვერცხლისფერი ორთქლი ასდიოდეს. იგი უფრო მირაჟს ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ხეს.

და როგორც ოკანეს უკუქცევა, ხელა, მაგრამ შეუჩერებლად, ჰაობი შორდება ფოთს, მიიწვეს შიგნით, ბალიასტომისკენ, ზღვისკენ, ჯანდაბისკენ.

მაკობს, წრის წევრს გული უტყდებოდა მუშაობაზე.

თითქმის მთელი წლის განმავლობაში წრეები უპროგრამოდ მუშაობდნენ. უკეთ რომ ვთქვათ, ყოველ ხელმძღვანელს თავისი საკუთარი პროგრამა ჰქონდა. უკანასკნელად მოწოდებული პროგრამა კი მეტად მძიმე და გაუთვლელი გამოდგა წრის წევრებისათვის. მასში გათვალისწინებული უფრო იყო ზოგადი თეორიული საკითხები, ვიდრე ლიტერატურულ ფაქტების შეწყობა. გარდა ამისა ეს პროგრამა კომპლექსიურ მეთოდით არის შედგენილი, რაც უკვე კარგა ხანია დაგმობილია და უარყოფილი.

წრეების ნორმალურ მუშაობაზე ისიც მოქმედებდა, რომ არავინ არ ამოწმებდა მათ ხამუშევარს. გასულ წელს არავის შემოუხედავს მეცადინეობაზე ერთხელ მაინც. წლის განმავლობაში არავის მოუთხოვია ანგარიში ჩატარებულ მუშაობაზე.

ეს საორგანიზაციო საკითხებია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთერთი მთავარი მიზეზი წრეების მუშაობის სისუსტისა ლიტერატურის საერთო ჩამორჩენილობაში უნდა ვეძიოთ. ამავ მიზეზით აიხსნება, რომ მკითხველი იძენდა არ ეტანება წიგნს, როგორც ეს საქართველოშია. ამ ნაკლის გამოწვევაა კი არა მარტო ორგანიზაციული ლონისძიებების საქმეა, არამედ შემოქმედებითი საკითხი. საქართველოში მწერლობამ მიაქციოს ამას მეტი ყურადღება.

ფ ა გ უ ლ ა თუ სიუჟეტი?*)

შალვა ალხაჯიშვილი

„ლიტერატურის“ მიერ მეტად დროულად არის აღძრული ფაბლიოსა და სიუჟეტის საკითხი. მართლაც არსად ისეთი აღრევა არ არსებობს, როგორც ამ ორ ცნებათა განსაზღვრაში. ცნობილია, რომ „ფაბლიო“ წარმოადგენს სიტყვიდან „fablio“, ე. ი. იგავ-არაკი, ის, რაც „მოთხრობილია“ ზეპირად ან წერილობით („მოთხრობა“ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით). ასეთი იყო მოთხრობა ძველ დროში: იგი გაუმოგვედმა მხოლოდ ამა თუ იმ გმირის თავგადასავალს ან მოქმედებას. არის ტოტემი, ეს „ანტიურ ქვეყნის ჰეგელი“, (ფრ. ვენგელის თქმით), ასე განსაზღვრავდა ფაბლიოს: „ერთიანი და თანაც მთლიანი მოქმედების ასახვა“ (იხ. მისი „პოეტისა“). მოთხრობაში „თხრობის“ ხაზი, „მოქმედების ასახვა“, „ამბების თანაფარდობა“—ეს არის ფაბლიო.

სიუჟეტი სულ სხვაა. სიუჟეტი შეიძლება იყოს ფაბლიო ან უფაბლო. სიუჟეტი უფრო ფართო ცნებაა. სიუჟეტი არის იდეურად და მხატვრულად დამუშავებული რეალური სინამდვილის მასალა. ფაბლიოს სიუჟეტური დამუშავება ან გაფორმება ნიშნავს მასალის უფრო ღრმა და ფართო გაშლას. ავიღოთ მაგ. ყველაფრის ცნობილი ა. კაზბეგის „ელ-გუჯა“. მთავარი გმირების ელგუჯას და მხალის თავგადასავალი და მათი „ბედი“ შეადგენს ამ მოთხრობის ფაბლიოს. ეს ის მთავარია, რაც განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველს. მაგრამ ეს ფაბლიოს ხაზი ა. კაზბეგს ოსტატურად აქვს დამუშავებული სიუჟეტურად: ბუნების

*) რედქცია არ ეთანხმება ამხ. შ. ალხაჯიშვილის ამ წერილის ერთ-ერთ მთავარ მოტივს: „ასე იყო“—„ასევე უნდა იყოს“. საკითხის ასე დაყენება სპობს დისკუსიის შესაძლებლობას. ყველა მასალას ვათავსებთ კამათის წესით.

ახალგაზრდა მწერლებს შორის

ახალგაზრდა მწერლებმა ხელი მოაწერეს სოციალისტურ შეჯიბრის ხელშეკრულებას ლენინგრადის ურნალ „რევოცია“ არსებულ ახალგაზრდა მწერლების გაერთიანებასთან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პრაქ-

ქ ვ ი ზ ო დ ი

გ რ ი ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე

მზემ რომ თავი ისახელა და შეიდი ცა მოვლო, ცამ გაშალა ცისარტყელა — ფარშევანგის ბოლო!

გადახედა ოქროს ხევიად ღრუბლებს ჩრდილებ დახრილს და შეიღ ფერად ააყვავა აბრეშუმის ბალი!

და მიაღგა მზე დასავალს, მზეს ღრუბელი ეკრა, მაღაროდან ქვეყანა გავს უხარამაზარ ეკრანს!

ბრუნდებიან... გაყენი ბინდში გვანან ზღაპრულ დევებს, სახელის და დიდებისთვის ცხრა ქვეყანელში შევლენ!

მოპყვებიან მანდის ლოდებს — დღისით ლამის საფარს, უკან ლიანდაგი მოსდევთ არიანდნას ძაფად!

გზაზე შლის და თამაშებს ჩრდილებს სახათური, მოღის კაცი ნაშაბაშევის ბნელში, გამართული!

ვინ რა იცის რაზე ფიქრობს, რას ნატრობს და ვისთვის?! ცას გასცქერს და ცაზე თითქო ლამის ქარვებს ითვლის!

კლდეს ბილიკმა გადახედა, ხევი ჩანდა ქვევით, ხევი ქვეყნის ხმას არხედა ვით ზღაპრული ქვევრი!

კლდეს ვაჟკაცმა გადახედა ჩაჩერდა იქვე: — ქარხნის კედლებს ლანდალ შემდგარს შავ ლამეში კლდის ქვეშ!

ლიტერატურის

შესანიშნავი აღწერები და ისეთი სიუჟეტური ეპიზოდები, როგორც მაგ. სვიმონის სიკვდილი, თემის შეკრება და სხვ. უფაბლო ნაწარმოებში ფაბლიოს მაგიერ სიუჟეტს აერთიანებს თემა, მასალა ან ავტორის სტილი. ასეთია მემუარები, ნარკვევი, ფელეტონი და სხვ. თავის დროზე ფორმალისტებმა განდევნეს ფაბლიო ლიტერატურიდან. ვ. შკლ ო ვ ს კ ი ქადაგებდა ისეთ რომანს, სადაც „არ არის ინტროგა, არც ფაბლიო, სიუჟეტი კი იქმნის ნაწილებების ერთი მეორის დაპირისპირებაზე“. თანამედროვე ბურჟუაზიული ლიტერატურა სწორედ ამ გზით მიდის, დაწვებული მარსელ პრუსტით და გათავებული ჯემს ჯ. ლისით. დღეს-პასოსის ნაკლიც ამაშია.

რასაკვირველია, საბჭოთა მწერლობა ვერ წავა ამ გზით. სოციალისტური რეალიზმი უნდა გულისხმობდეს არა „გენერალიზაციის“ და „დეტალების“ ბრძოლას, რაც ყოველთვის აწუხებდა ლევ ტოლსტოის, არამედ მათ შედარებას და შეთანხმებას. ამიტომ სწორი არ არის ამხ. დ. შენგელაიას მიერ საკითხის დაყენება „ფაბლიოს თუ სრულიად მოხსნის არა, შენდებისა მიხედვით იგივეა, რაც ფორმალისტების „უსტანოვკა ხა მატერიალ“, და მწერალი, როგორც მხოლოდ „собирает материал“. მხოლოდ ის ნაწარმოები „ითრებს მკითხველს, იტაცებს მას და ხდის რომანის გმირად“, სადაც მაგარი და ძლიერი ფაბლიოა. გარდა ამისა სიუჟეტში მომწვედელი „ხალხი და ხასიათები“ უფრო ადვილად მიღწევენ მკითხველს ფაბლიოს საშუალებით, ვიდრე უფაბლოდ. ცხადია, ეს არ ეხება ისეთ უფაბლო ნაწარმოებს, როგორც ნარკვევი ან ფელეტონი, სადაც მკითხველის ინტერესს იწვევს თვითონ მასალა და არა ინტროგა ან დრამატურგია მასალის.

ამრიგად, არა ფაბლიო თუ სიუჟეტი, არამედ მაგარი ფაბლიო ღრმად და ფართოდ დამუშავებულ სიუჟეტით. ასეთი იყო წარსულის ყველა დიდი მწერლის ნაწარმოები, ასეთივე უნდა იყოს საბჭოთა მწერლის „ბელეტრისტიული“ ნაწარმოები.

ტიკული ღონისძიებანი და კერძო თარგმანების გაკეთება. შეჯიბრის ერთერთი არბიტრაი ჩვენი „ლიტერატურის“ რედქცია გამოსთქვამს სურვილს, რათა ინტერნაციონალური დაკავშირების ეს კარგი ცდა უბრალოდ ფრაზად არ დარჩეს.

როზანბარგის ასთიბიკური ილაადი

პ. რ. ო. მ. ო. გ. ო. გ. ო. გ. ო. გ.

3.

რადგან ყოველივე კულტურული ღირებულება სისხლიდან მოჟონავს და რასიულია, ცხადია, რომ ესთეტიკა გამონაკლისს არ შეადგენს. მშვენიერებაა ხელოვნების საგანი, ხელოვნება კი ესთეტიკის, ამიტომ მშვენიერებისათვის რასიული პრინციპების დადგენებით სურს როზანბარგს ფაშისტური ესთეტიკის პრინციპების ჩამოყალიბება.

ყოველივე ხელოვნება თავის შემოქმედებაში თავისი სისხლის ფერსა და თავის რასას გამოხატავს, ამიტომ რასას მოკლებულ ხელოვნებას არა აქვს ფერი და არა აქვს სისხლის სუნი. მას აკლია სისხლის რელიგია და, სადაც სისხლის რელიგია არ არის, იქარც ხელოვნება და არც მშვენიერება. ასეთი უაზრო და უპრინციპო ხელოვნება გაუბრძის დაუსაბამო აბსოლუტს და მარადისობის მაძიებელ ადამიანს.

ევროპის ხელოვნება ამ გადაგვარებამდე, გვარწმუნებს როზანბარგს, ფრანგებმა მიიყვანეს, მაგრამ გადაგვარების პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. ევროპის ისტორიაში კაცობრიობას ძალა და წითელი სისხლი პირველად სირიიდან მოსულმა ქრისტიანობამ წაართვა. შემდეგ მოვიდა მეციხიერება და ღარვინიზმი, ამან ევროპის კაცობრიობას წაართვა სული: „სისხლი გადააკეთეს ქიმიურ, ფორმულად, მას მოპარეს სული“; ჩრდილოეთის ქერა და ცისფერთვალა ადამიანის სისხლში შეურიეს სირიისა და სემიტების შავი საწამლავი, და დიდხანს ვითარდებოდა და მიძინებდა ეს შავი ქირი, ს. ვ. ადამსხევა სახით და სხვადასხვა ვარიანტებით.

დღევანდელ ევროპაში ამ შავი სისხლისათვის კარები საცხები თოხა საფრანგეთში. პარიზში თავი მოუყრია ლამაზ ქალებს, და ეს

უსინდისო საკუთარი სისხლის მოლაღატენი თავიანთ არიულ სისხლის უკანასკნელ წვეთებს შავებზე ყიდნან. პარიზში „ჩვენ დღეს მოწამენი ვართ იმისა, რაც ერთხელ იყო ათინაში, რომში და პერპოლისში. ამიტომ ყოველივე ახლო კავშირი საფრანგეთთან იგივეა, რაც ქორწილი კეთროვანთან“ (იხ. იქვე გვ. 101, 102).

მაგრამ... მაგრამ გულს ნუ გაიტხებთო, ურჩევს როზანბარგს ევ-



კარიკატურა, — გ. ო. გ. ო. გ. ო. გ.

როპის ამ უკანასკნელ ცისფერთვალა არიელებს: ახალი ეპოქა იწყება. ახალი მითოსი იბადება. მითოსი გერმანელების გაბედული სისხლისა, იწყება „die Rache des Blutes“. გამოღვიძებულ გერმანულ-არიული სისხლის შემსუსრავ სამართალს ვერაფერ ვერ გაექცევა. სისხლს სისხლის აღება უყვარს.

„ღღეს იბადება ახალი სარწმუნოება: სისხლის მითოსი, სარწმუნოება, რომლის თანახმადაც სისხლის გადარჩენასთან ერთად ადამიანის ღვთაებრივი ბუნებაც უნდა გადავარჩინოთ“ (იხ. იქვე გვ. 111).

და ამ დიდი განკითხვის დღისათვის სურს როზანბარგს მომზადებული დახვედეს. ხელოვნების საკითხებში ფაშისტური რევოლუციის

მოხდენას. როზანბარგს აზრით, კიდევ იმპერია ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ენერჯის კულტურისათვის ხელოვნება იმავე როლს ასრულებს, რასაც რელიგია აღმოსავლეთისათვის. სისხლის რელიგიის მოსვლას სისხლის ხელოვნება უნდა ახლდესო.

მაგრამ როგორი იქნება ეს სისხლის ხელოვნება? იგი იქნება გემოვნება და მშვენიერება მოლტკეს ტიპის გერმანულ „ვეჟუკტა“, ნაციონალისტური. ხელოვნება და მეციხიერება თავისთავად კი არ არსებობს—გვასწავლის როზანბარგს, — არამედ როგორც სისხლის შემოქმედება, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს ინტერნაციონალური, არამედ მხოლოდ ნაციონალური. ის, რასაც დღეს „მეციხიერება“ ეწოდება, გერმანელების რასიული შემოქმედების შედეგია. მაგრამ ამ ნამდვილი მეციხიერების გვერდით არსებობს აგრეთვე წმიდა ურთული და წმიდა სირიული „მეციხიერება“, ეს არის მარქსიზმი და ე. წ. საფინანსო მეციხიერება“ (იქვე გვ. 117).

მასასადამე, ფაშისტმა უნდა გადაარჩინოს ხელოვნება და მეციხიერება ინტერნაციონალიზმისაგან. განსაკუთრებით კი ხელოვნებამ უნდა განიცადოს მესამე იმპერიის სულის განნახლებელი ხეგავლენა. თუმცა სემიტების შემოსევით წამოწული არიული სისხლი ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის ეპოქის ხელოვნებაში ნახულობს პოხიერ ნიადაგს. თურმე ჯერ კიდევ ბერძნული დემოკრატიის დროს ჩრდილოელ ღმერთთა სამყაროში შეიპარა წინა-ახილი შავი ფერის და შავი სისხლის მქონე ღმერთი დიონისოს. მან აპოლონს ცხოვრება გაუფუჭა და ბერძნული რელიგია და ხელოვნება გადაავარა. ხელოვნებაში ღღეს გამეფებული „ურბიების მარქსიზმი და დემოკრატიზმი“, დედაკაცის კულტი და ლარის სულისკვეთება ძველი ანბების ახალ ფორმებში გამოვლინდა, გვარწმუნებს ნაციონალისტული მისი ბრძენი. ათასჯერ ყოფილა მსოფლიო ისტორია ასეთი დღეების წინ, ათასჯერვე ის ჩრდილოეთიდან მოსულ ხალხს და ჩრდილოეთიდან მოსულ სისხლს გადავარჩინა. „ეს დღემდე უცვლელია და ასე გრძელდება. დღესაც ჩრდილოეთი დანა მოსული ფაშისტში ძველ ღირებულებათა განმახლებლის და ვადამრჩენის როლში გამოდის“ (იქვე გვ. 80).

თუ მესხიერება არ გვცოლატობს, ფაშისტში იტალიიდან მოვიდა და არა სკანდინავიიდან, ხოლო იტალია ევროპისათვის ჩრდილოეთი არ უნდა იყოს. მაგრამ არა უშავს, ამიერიდან იტალია, დეე, ჩრდილო ევროპაში იყოს მოთავსებული. ფაშისტის სოფლმშენებლობის გამართლებისათვის ეს გეოგრაფიული ოპერაცია აუცილებელია და ჩვენც როზანბარგს ეს უნდა დაუფიქროს, ხოლო მკითხველს ეს ნუ გაუვიწყრდება, სწორედ ისე, როგორც არ უნდა გაუვიწყრდეს როზანბარგის მორიგი გენიალური „აღმოჩენა“, რომლის მიხედვითაც ქრისტი გერმანელი ყოფილა. თურმე ყველა დიდ მხატვარს ქრისტი ქერა და ცისფერთვალა ქაბუჯად ჰყავდათ წარმოდგენილი და დახატული. კონკლუზიო: ქრისტი არის გერმანელი.

ეს არის ლოგიკური აზროვნების იშვიათი ნიმუში მომარჯვებული მსოფლიო ისტორიის აზრის გაგებისათვის. მოლტკეს ტიპის გერმანულ ვაჟკაცთა სოციალიზმის დროს ყველანი ამ კანონების მიხედვით იაზროვნებენ. მარქსი, ფეიერბახი და მრავალი სხვა იმიტომ მათ სისტემა აკრძალავდა დიდ გერმანიში, რომ ისინი ამ ლოგიკით არ აზროვნებდნენ, მალე აკრძალავენ კანტსაც და ჰეგელსაც, გიოთესაც და შილერსაც, დიდი არგუმენტები არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ არც ერთი მათგანი დასახელებული ლოგიკით არ აზროვნებდა. მასასადამე, არც ერთი არ ყოფილა ნამდვილი არიელი. თუ „წმენდას“ კიდევ გავავრძელებთ ადვილად შესაძლებელია ბის-მარქსაც უარი ეთქვას არიულ პასპორტზე...

შუა ცეცხლში გადაიარდა, ცეცხლი აღის ცისკენ, ეძგერა და... ქარხნის კართან ერთად გადაცვივდნენ!

გაფანტულმა ქარხნის ბოლმა გაანათა ერთხანს: — კასრმა კაცოც ვადიყოლა, ხევიში ვადაჩხა!

გაანათეს სანთლით ხევი და ნაკვალევს მიჰყვენ, მერე შედგენ ქარხნის ქვევით დასცქერდნენ რიყეს.

სისხლს მადანი დაეფარა, გაარჩიეს ნისლში: მარგანეცზე ხატებულად დახატული სისხლი!

იწვა კაცი მოთენთილი: აღარ ერტყა ირგვლივ თვალებს პალმის ფოთლებივით წამწამების ჩრდილი!

დაებლუჯა ხელი ჯავრით; ვერ მოესწრო გაშლა, სისხლი ეცხო ცეცხლში ვავილი დამწვარ ნაულვაშარს!

დადიოდა ხმა ჩურჩულის, იდგენ ბნელში ლანდალ — ქარხანა კი გარუჯული უვნებელი ჩანდა!

დაპყრებდნენ სისხლის წვეთებს ნაფორეჯევს მთვარით, საკაცებზე კაცს აწვენდნენ გაეხილა თვალი!

● სუფრას უხსდნენ, კარვა მოზრდილს, მომლოდინე ვახშმის: მამა—მუშა მღაროსი, ინეენერი—ვაჟი.

და მოჩანდა კერძი ორთან, თევში იღო სამის, მესამესაც მოელოდა ცარიელი სკამი.

— ნეტავ რატომ იგვიანებს? ვერ ისვენებს დედა, მამის თვალებს იკვიანებს შიშით გადახედავს!

მალე მოვა, დედი მშვიდალ! ვახშამს შემოუჯექ!

ან თათბირზე შეივლიდა, ან კრება აქვს უჯრედს!

გამოჩნდება კართან ჩრდილი, დედა კართან მიზბის, ხედავს: მშვიდალ თვდახრილი ამოღიან კიბით!

შემოაღებს ფართო წყება ორივე კარს გაშლიოს და საკაცეს ვაოცებდალ შემოღვამენ სახლში!

დილით ახელს თვალებს წყნარად ძილში ნაწვალები — მზეს სარკმელთან დაეყარა ჩრდილი დალალებს!

თეთრ ლოგინზე მარტო მდებარს, თითქმის სუნთქვა შემწყდარს, სიზმარივით აგონდება შებრძოლება ცეცხლთან!

სარკმელს ჩრდილი მოეჩრდილენ კედლებს ფოთლით რთავენ — მკლავს ვაშლის და ღონე კიდევ მერჩენია მკლავებს!

მაშ კუნთები გამოკეთდენ, კვლავ შერჩება ჯანი, არ გაშლიან მარტო ერთხელ ცისარტყელებს ცანი!

უხარია, რომ ბავშვივით კვლავ ვახედავს შორეთს, გაიხარებს კომკავშირი დაამშვენებს სწორებს!

გადარჩა ხე ვალმა ლხენით გასცქერს მთებზე, თვითონ მისი ხელით ვადარჩენილ ქარხნის კედლებს დიდრონს!

ქარხანა ჩანს ასე დიდალ, კვამლი ადგას ქორხალ, ვადარჩა და სარკმელიდან გარუჯული მოჩანს!

ქარხნის ზემოდ მზე ვადმოტვა ნათელი და ლაშა! ქარხნის მილი ცას აქსოვდა აბრეშუმის ლაქვარდს!

მერე სიოს მისარხველად შლიდა კვამლის მდღოსს — გმირმა თავი ისახელა ქვეყნის სასახლოდ!

კლდიდან გავდა ათას მერცხალს გაფრენილი ქვები— წყალს მიჰქონდა გასარეცხად ახეთქებდა ჯებირს!

ჩაპყრებდა დახვევს მგზავრი —: სად წასულა, როდის? — მისი ხელის ნახელავი მარგანეცის ზოლი.

შავი მოსჭრა შავლევ მთებთან, შავგვრემანი ჯიშის და შავი ქვა არ თეთრდება რა გინდ ხეხონ ქვიშით!

ალი ჩანდა ქარხნის კართან და წვალობდა ერთხანს, მერე უცებ აღიმართა კედლებს შემოვრტყა!

აღის ალი, ცამდე წვდება, ავა მომიბატენ, სიბნელეში ნაპერწკლებმა ყაყაჩონი ხატეს!

— უყურებ და უცხო არ ხარ, ჯერ დრო დაჩრა კიდევ — ვინლა გარეცხს შენ მოხვარს, ვინლა გაამდიდრებს?!

ხანძარი წვავს ქარხნის კედლებს, ანადგურებს ცეცხლი! — ვერცხლის ბუდეს ვაკეთებს ნაციარი და ფერფლი!

იწვის, ცეცხლში ვახვეულა, რალასთვის სჭრი მადანს?! იფიქრა და ფიქრზე უმაღ ცეცხლთან დაიბადა!

სანათურმა ბოლი ვაჰყო, გზა განათლდა ნაცრის —: ცეცხლთან იდგა შორი ახლოს ნავთიანი კასრი!

— სახელისთვის ვაჩნდი ერთხელ უნდა მოკვდე ერთხელ! — ცოტალა, და სავცე კასრი ააფეთქებს ხე-ტყეს!..

